ოქმი №8

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2026 წლის 27 მაისს.

სხდომა დაიწყო 12:15 საათზე, დამთავრდა 12:30 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ჯ. ტყებუჩავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - მ. გვიჩია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ი. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბ. ხურცია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურისკომისიის თავმჯდომარე - გ. შომახია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარე - ლ. ჯინორია.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 10; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი - შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების” მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი - სენაკის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკის უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია წარმოდგენილი პროექტები დაემატოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისს ჩასატარებელი სხდომის დღის წესრიგს.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 10; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ 2026 წლის 21 მაისს შედგენილ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში. კერძოდ, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას 2026 წლის 28 მაისს განსახილველად წარედგინოს საკითხები შემდეგი დღის წესრიგის პროექტის სახით:

„დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - დ. ალანია

3.შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს'' მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა

4. შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების'' მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა

5. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

6. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

7. სენაკის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკის უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე
მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია“

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ჯუმბერი ტყებუჩავა